


საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(190) 2019 წ. 16-30 აპრილი ფასი 1 ლარი


# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## აღდგომა

## ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და მთავარი ქრისტიანული დღესასწაულია



**ამ** საეკლესიო დღესასწაულს გაზაფხულზე აღნიშნავენ, თუმცა მისი ზუსტი თარიღი დაწესებული არ არის და მისი გამოთვლა ყოველწლიურად სპეციალური საეკლესიო კალენდრის მიხედვით ხდება.

2019 წელს მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომას 28 აპრილს აღნიშნავს, კათოლიკური – 21 აპრილს.

### როდის ზეიმობენ აღდგომას

**აღდგომა** სიძველის და მნიშვნელობის მიხედვით პირველი ქრისტიანული დღესასწაულია. მაცხოვრის მოწაფეები მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის მომენტიდან მოყოლებული ყოველ კვირას ზეიმობდნენ ამ დღეს.

აღდგომა განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს იუდეველების პასექის პერიოდში იძენდა, რადგან სწორედ იუდეველების ამ დღესასწაულის პერიოდში მოხდა ქრისტეს ჯვარზე გაკვრა და მისი აღდგომა.

თავიდან ყველა ქრისტიანი ზეიმობდა აღდგომას იუდეური კალენდრის მიხედვით, რომელიც იწყებოდა ნისანის თვის 14 რიცხვში. ებრაულ კალენდარში ეს წლის პირველი თვეა, რომელიც მარტს შეესაბამება, გრიგორიანულ კალენდარში კი აპრილს.

ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან ეპისკოპოს სიქსტუსის ინიციატივით, რომელიც რომაულ ეკლესიას სათავეში 116–126 წლებში ედგა, ქრისტიანული აღდგომის თარიღი იუდეველების პასექის მეორე დღეს გადაწიეს.

ეკლესიის შიგნით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ახალი თარიღით გამოწვეული უთანხმოება ნიკეის საეკლესიო კრებამდე გაგრძელდა.

ნიკეაში მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წელს რომის იმპერატორმა კონსტანტინემ მოიწვია.

ნიკეის საეკლესიო კრებაზე დაადგინეს, რომ აღდგომა უნდა აღინიშნებოდეს გაზაფხულის პირველი სავსემთვარეობის შემდეგ, რომელიც გაზაფხულის ბუნიობას მოსდევს (ბუნიობა – დღისა და ღამის თანასწორობა, ახალი სტილით 21 მარტს).

მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს აღდგომის დღესასწაულის თარიღის გამოთვლისას სხვაობა 1582 წელს გაუჩნდათ, როდესაც კალენდრის რეფორმა მოხდა. რომის პაპმა გრიგოლ II-მ ახალი სტილი, ე.წ. „გრიგორიანული“ კალენდარი შემოიღო, ხოლო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ის არ ცნო და ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა იულიუსის კალენდრით, ანუ ძველი სტილით განაგრძო.

კალენდრებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების მიერ გამოთვლილი აღდგომის თარიღები სხვადასხვა წელს ერთმანეთისგან ხან ერთი კვირით არის დაშორებული, ხან რამდენიმეთი, თუმცა ზოგჯერ ერთმანეთსაც ემთხვევა.

## დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი განსაკუთრებული პროგრამის სიაშია



**19 აპრილს,** ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საზეიმო ღონისძიება - „ევროპა ნოსტრა საქართველოში“ გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი ჯილდოს „ევროპა ნოსტრას“ გამარჯვებული 7 პროექტი საქართველოდან და ევროპა ნოსტრას ევროპული კულტურული მემკვიდრეობის 7 საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის პროგრამის მიერ აღიარებული ორი ქართული ძეგლი.

***ევროპა ნოსტრას საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამაში წარდგენილი და გამარჯვებული ძეგლებს შორისაა საქართველოდან:***

**დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი,** ნომინატორი - ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი. შეყვანილია 2018 წლის ძირითად ნუსხაში.

ჯილდო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს და აბბა ალავერდელი მიტროპოლიტ დავითს ევროპა ნოსტრას გენერალურმა მდივანმა ქალბატონმა სნეშკა ქაიდვლიგ-მიხაილოვიჩმა გადასცა.

აღსანიშნავია, რომ საზეიმო საღამო დავით გარეჯისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის - „დავით გარეჯი - მულტიდისციპლინური კვლევა და განვითარების სტრატეგია“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც 18, 19 და 20 აპრილს, თბილისში გაიმართა.

## „წითელი პარასკევის“ მნიშვნელობა და სახარებისეული განმარტება

**პარასკევს,** წითელ პარასკევად სახელდებულ დღეს კაცობრიობამ ღმერთს სიკვდილი მიუსაჯა. ამ დღეს მოხდა ღმერთის საშინელი განსჯა. სამყაროს არასდროს უხილავს ასეთი უმანკო განსასჯელი და ასეთი საშინელი მსაჯული.

ამ დღეს მოხარხარე ჯოჯოხეთი ჩასახლდა ადამიანში და დასცინა ღმერთსა და ყოველივე ღვთაებრივს. ამ დღეს სიკვდილი მიანიჭეს მას, ვინც კაცობრიობას მარადიული ცხოვრება მიუძღვნა.

გოლგოთიდან ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა. ნათელი იყო ყოველივე და სამყარო განაჩენს ელოდა. განაჩენი წარმოითქვა ნაგვემი, შეურაცხყოფილი, ტანჯული ძე კაცისას მიერ: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“. კაცობრიობამ გოლგოთაზე გაასამართლა ქრისტე, მაგრამ გოლგოთაზევე გასამართლდა კაცობრიობაც. გოლგოთაზევე დასრულდა ადამის მოდგმის ქრისტიანობამდელი ისტორია.

მართალია, იუდეველებმა ჯვარს აცვეს უფალი, მაგრამ, სამაგიეროდ, თითქმის მთელმა მაშინდელმა წარმართულმა სამყარომ თაყვანი სცა ჯვარცმულს, როგორც ღმერთს და ამით ქრისტეს ვნების გზა სამყაროს გადარჩენის, ბოროტებისა და ცოდვის უფსკრულიდან მისი აღმოყვანის გზად აღიარა.

წითელი პარასკევი დიდი მარხვის ყველაზე მძიმე დღეა. ამ დღეს ტაძრებში წირვა არ აღესრულება, რადგან ადამიანთა ცოდვებისგან გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა. დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება.

ეკლესიებში მსახურების დაწყებამდე, ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი -„საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ გარდამოხსნას, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილს, რომელზეც საფლავში ჩასვენებული მაცხოვარია ამოქარგული. საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს.

ამის შემდეგ, სამღვდელოება და მლოცველები გარდამოხსნის წინაშე დიდ მეტანიას ასრულებენ და მას ეამბორებიან.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა და მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს იღებს, ზოგი კი - მხოლოდ პურსა და წყალს.

მორწმუნეები ამ დღეს ასევე კვერცხებს წითლად ღებავენ და პასქებს აცხობენ. წითელი კვერცხის მსგავსად პასქასაც რელიგიური დატვირთვა აქვს. უფლის ჯვარცმა იუდეველთა პასექის დღესასწაულზე მოხდა.

ამ დღის სახარებისეული განმარტება ასეთია:

იესოს მოძულე მღვდელმთავრებმა იგი იუდას შემწეობით შეიპყრეს, წარუდგინეს ურიასტანის მმართველს პონტოელ პილატეს და მისი ჯვარცმა ითხოვეს. იგი გოლგოთის მთაზე აიყვანეს, სადაც ებრაელები დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. მაშინ პასექის დღესასწაული იყო და ერთი დასასჯელის განთავისუფლება შეიძლებოდა. პილატემ ავაზაკი ბარაბა გამოიყვანა და იკითხა: რომელი გავათავისუფლოთო. ხალხმა ბარაბას გათავისუფლება ითხოვა. პილატე არ იყო დარწმუნებული ქრისტეს დანაშაულში, მაგრამ ხალხის შფოთს მოერიდა, ტაშტი მოატანინა, ხელები დაიბანა და თქვა: ამ საქმეში მე უბრალო ვარო. ამის შემდეგ, ხალხის მოთხოვნით, ქრისტე ჯვარს აცვეს.

საკუთარი ხალხისაგან უარყოფილი სამყაროს მეუფე ჯვარზე აღესრულა.

აღსრულდა რაღაც დიადი, განუზომლად მნიშვნელოვანი და იდუმალი. სამი დღის შემდეგ კი მოხდა დაცემული ადამის აღდგინება, ქრისტეში ადამიანის ღმერთთან შეერთება, ცოდვების წარხოცვა და სიცოცხლის განახლება.

ამ დღეს აღსრულდა ადამიანური სიმართლეც. წითელ პარასკევს მაცხოვრის ჯვარზე ვნების მოსაგონებლად იღებება კვერცხი.

არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი.

წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წითელი კვერცხებით ეგებებიან.

გარდა ამისა, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი ადამიანებს სიცოცხლე მიანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები



**16 აპრილი, 2019 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი*** უძღვებოდა. თათბირზე ***მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების გამგემ ბექა ფეიქრიშვილმა*** ვრცლად ისაუბრა და წარმოადგინა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტების განხორციელების პროცესები, ასევე, ისაუბრა პროექტების განხორციელებისათვის გამოცხადებული ტენდერების შესახებ და იმ პროექტებზე, რომლებიც საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით უნდა განხორციელდეს. საუბარი შეეხო ასევე, პროგრამა „ სოფლის მხარდაჭერის" პროექტებს. როგორც მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან გაირკვა, „სოფლის მხარდაჭერის" პროექტების სრულყოფილად განხორციელებას, ზოგიერთ სოფელში გარე განათების პროექტის ბოლომდე მიყვანას რამდენიმე ათასი ლარი აკლდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა აღნიშნა, ამ კუთხით პრობლემა მოხსნილი იქნება- ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოინახება თანხები და პროექტს დასრულებული სახე მიეცემა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის და მერის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა, მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ.

თათბირზე მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა მერის წარმომადგენლებთან და შპს „ საგარეჯოს" დირექტორ თამაზ კუჭუაშვილთან ერთად დასახეს სამოქმედო გეგმა გაზაფხულის მიმდინარე უხვნალექიანობით გამოწვეული მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად.



**23 აპრილი, 2019 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლექსო გილაშვილი*** უძღვებოდა. თათბირს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების უფროსები, განყოფილებათა გამგეები, ინფრასტრუქტურის, მშენებლობის სამსახურისა და ზედამხედველობის განყოფილების ყველა თანამშრომელი ესწრებოდა. თათბირის დასაწყისში ლექსო გილაშვილმა სოფლების მიხედვით ზედამხედველობის განყოფილების თანამშრომლებიდან მოისმინა სრულყოფილი ინფორმაცია იქ მიმდინარე სამუშაოების ხარისხისა და ვადების შესახებ. როგორც მან აღნიშნა, ზედამხედველობის განყოფილების თითოეული თანამშრომელი დღეიდან ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე გადავა მისი კურატორობის ქვეშ მყოფი სამშენებლო ობიექტების მშენებლობის პროცესების, ხარისხის, სამშენებლო საქმიანობის ვადებში შესრულების შესამოწმებლად და როგორც წესი, თითოეული თანამშრომელი ყოველი თვის პარასკევს წარუდგენს სრულყოფილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას მის მიერ შემოწმებული სამუშაოების შესახებ იმ გეგმა- გრაფიკის მიხედვით, რომელიც მათ წინაშეა. როგორც მან აქვე აღნიშნა, გასარკვევია და სათანადო იურიდიული კანონიერების ფარგლებში მსვლელობა უნდა მიეცეს იმ სამშენებლო ორგანიზაციის მუშაობას, რომელიც საგარეჯოში მარჯანიშვილისა და სარაჯიშვილის ქუჩების მოასფალტების, სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებს ასრულებს, რადგან მათ დღეისათვის შესასრულებელი სამუშაოების შესრულების ვადასთან მიმართებაში 32 % ჩამორჩენა აქვთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შგვიძლია მათი ჯარიმაზე გაშვება.

თათბირზე ლექსო გილაშვილმა ზედამხედველობის განყოფილების თითოეულ თანამშრომელს კიდევ ერთხელ შეახსენა მათი პასუხისმგებლობა - გეგმა - გრაფიკის მიხედვით ,ყოველდღიურ რეჟიმში ობიექტურად შეამოწმონ თითოეული სამშენებლო ორგანიზაციის მუშაობა და დარღვევების, ვადაგადაცილების შემთხვევაში შეადგინონ სათანადო დოკუმენტაცია. ამასთან, მათვე დაევალათ, ინფრასტრუქტურულ პროექტებს საფუძვლიანად გაეცნონ, დეტალურად შეისწავლონ მათში არსებული ხარვეზები, რათა დროულად მოხდეს მათი კორექტირება.

თათბირზე მერის წარმომადგენლებმა გომბორში, ვერხვიანში, ხაშმში, მანავში, ნინოწმინდაში,უჯარმაში ისაუბრეს სოფლებში არსებულ იმ პრობლემებზე, რომლებიც სასწრაფო წესით უნდა მოგვარდეს.

თათბირი შეაჯამა ლექსო გილაშვილმა და დაისახა კონკრეტული ღონისძიებები პრობლემების მოსაგვარებლად.

*თინა ილაური*

## გაზაფხული ქალაქში შედის

გაზაფხულდა. ბუნების გამოღვიძებასთან ერთად აუცილებელი ხდება ქუჩების, სანიაღვრე არხების გასუფთავება, სკვერების, გაზონების მოწესრიგება.









# უფასო სამედიცინო აქცია



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯის" მხარდაჭერით, სოფელ უჯარმაში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. მოსახლეობის თხოვნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ თვალის უფასო ინსტრუმენტული კვლევებისთვის მოწვეული იქნა ქირურგი - ოფთალმოლოგი და კლინიკის სხვა წარმომადგენლები. აქციის ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობას შესაბამისი კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტური მკურნალობა დაენიშნა. რიგ შემთხვევებში, მიმდინარე წლის 27 მაისს დაიგეგმა ამბულატორიული ქირურგიული ოპერაციები, რომლის ფინანსურ ხარჯებს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა აფინანსებს. გარკვეულ სამიზნე ჯგუფებს, რომელთა რიგებში სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ვეტერანები, შეზღუდული შესაძლებლობის, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირები და დევნილები შედიან-მათი ქირურგიული ოპერაციის ხარჯებს-კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია სრულად უზრუნველყოფს.

ასეთი სახის აქცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც გაგრძელდება.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## სოფელი

## დიდი ჩაილური

**კომლი** – 318
**მოსახლეობა** – 1153 კაცი
**საძოვარი** – 179 ჰა
**სახნავ-სათესი** – 173 ჰა
**ერთწლიანი კულტურები** – 125 ჰა
**მრავალწლიანი კულტურები** – 381 ჰა

**მერის წარმომადგენელი სოფელ დიდ ჩაილურში**

**ნიკა მემარნიშვილი**



**დაიბადა** 1989 წელს; **განათლება:** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (2006-2010წწ), კვების პროდუქტების ტექნოლოგი, სასურსათო ტექნოლოგი; **სამუშაო გამოცდილება:** მე-3 განყოფილების სპეციალური კონტროლის ინსპექტორი, შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველო (2010-2015წწ); ქალაქ თბილისის მერიის წამყვანი სპეციალისტი უსაფრთხოების საკითხებში (2016-2018 წწ);

2018 წლის 29 მაისიდან დაინიშნა მერის წარმომადგენლად სოფელ დიდ ჩაილურში.

**დიდი ჩაილურის მაჟორიტარი დეპუტატი**

**მამუკა ჯაჭვაძე**



**ინფრასტრუქტურა**

**გასულ**, 2018 წელს სოფელში მოეწყო სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები.

**სკოლამდელი** აღზრდის დაწესებულებაში ჩატარდა სამზარეულოსა და სასაწყობე ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოები; ამავე შენობაში ჩატარდა შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო ლამინატის იატაკი.

**სოფელში უახლოეს ხანში მოსაწესრიგებელი საკითხები**

- სოფელში შემოიღობება სტადიონი, რაზედაც „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამიდან გამოყოფილია თანხა.
- შემოსაღობია სოფლის სტადიონი (რომელიც „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით განხორციელდება)
-მოსაწყობია სანიაღვრე არხები არსებულთაგან ზოგს უკვე ფუნქცია აქვს დაკარგული
- შემოსაღობია სოფლის საჯარო სკოლის ეზო (სოფლის მოსახლეობა შესასრულებელ სამუშაოებში ამ შემთხვევაში უსასყიდლოდ მიიღებს მონაწილეობას, მხოლოდ შესაღობი მასალის შესასყიდად იქნება საჭირო თანხები)
- სასმელი წყლის სათავემდე მისასვლელი 1 კმ 900 მეტრი მილი გამოსაცვლელია
- საუბნო სასმელი წყლების მილებზე მოსაწყობია 15 ონკანი
- წყალსაქაჩზე მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულება არასწორადაა დარიცხული ელექტროენერგიის მომწოდებელი კომპანიის მიერ, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს მეორე წელია
–გარე განათებაა მოსაწყობი 400 მეტრზე
-დამატებას საჭიროებს ნაგვის ურნები
-მოსაწესრიგებელია შიდა გზები
- სოფლის საექიმო ამბულატორიის შენობა რამდენიმე წელია დემონტაჟს მოითხოვს
- სოფელში რამდენიმე ადგილზე მოსაწყობია სიჩქარის შემზღუდავი ზოლები

**განათლება**

**სოფელში** ფუნქციონირებს საჯარო სკოლა ***(მენეჯერი ლია როსტიაშვილი.)*** სკოლა სამსართულიანია. პირველი და მეორე სართული გარემონტდა 2015-2018 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ – შეიღება კედლები, დაიგო იატაკი, შეიცვალა შენობის სახურავი. რაც შეეხება შენობის III სართულს, აქ მხოლოდ კიბე და III სართულზე შესასვლელი კარები გაკეთდა. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი (ოღონდ სკამების გარეშე). არ აქვს სპორტული მოედანი და არც ღია სპორული დარბაზი. სკოლის ეზო მოსაწესრიგებელია და შემოსაღობი.









სკოლაში ფუნქციონირებს 10 საფინანსო კლასი 112 მოსწავლით. მათ განათლებას 21 მასწავლებელი ემსახურება, აქედან 9 – სერტიფიცირებულია. პირველ კლასში 13 მოსწავლეა, XII კლასში – 10. სკოლაში არ არის V და X საფინანსო კლასები (კონტიგენტის არარსებობის გამო). დაწყებითი განათლების პედაგოგები არიან ნათია ქევხიშვილი, მაია ქევხიშვილი, მაია ქევხიშვილი-დიდებულიძე, მაია ფოცხვერაშვილი, მარინე (მარეხი) საგინაშვილი.



**საბავშვო ბაღი**

**დიდი ჩაილურის** საბავშვო ბაღი ***(მენეჯერი თინა შიოშვილი)*** 2012 წელს აშენებულ შენობაშია განთავსებული, რომელიც პროექტით და მიზნობრივადაც სწორედ საექიმო ამბულატორიისთვის იყო განკუთვნილი. დღეს შენობაში 24 აღსაზრდელი 1 პატარა ოთახში ეუფლება მისთვის განკუთვნილ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას. სივიწროვის გამო აქ აღსაზრდელები შეზღუდულები არიან გასართობი თამაშობების დროს. მათ აღზრდას აღმზრდელ-პედაგოგი მარინე ფეიქრიშვილი, აღმზრდელის თანაშემწე ხათუნა ლოლაძე, მზარეული ეთერ აფციაური, მედდა მაია ლოლაძე და დამლაგებელი ლელა საგინაშვილი ემსახურება. სასიხარულოა ის, რომ აქ თებერვლიდან მუსიკის მასწავლებლის შტატი დაემატა. დღეს მასწავლებელი მაია მაჩხაშვილი თავის აღსაზრდელებს მუსიკის საოცარ სამყაროს აცნობს, ისინი ერთად ამზადებენ სიმღერებს, ცეკვებს.



როგორც აღვნიშნეთ, საბავშვო ბაღის შენობაში სივიწროვეა, მართალია, აქ სამზარეულოსა და სასაწყობე ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოები ჩატარდა, დაიგო ლამინატის იატაკი, მაგრამ ეს პრობლემას ვერ ხსნის... ამავე ეზოში კვლავ დგას ძველი შენობა, რომელიც თავისი ფართით დააკმაყოფილებს საბავშვო ბაღის სასწავლო-სააღმზრდელო მოთხოვნებს. ამიტომაცაა, დიდჩაილურელები ამ შენობის მდგომარეობის შესწავლას ითხოვენ და მისთვის ძველი ფუნქციების დაბრუნებას. მართალია, ისიც იციან, რომ მის რეაბილიტაციას მნიშვნელოვანი თანხები დასჭირდება. თუმცა მოგვარდება მეორე საკითხიც – სოფლის საექიმო ამბულატორია (ოჯახის ექიმი ნათელა ნალბანდიშვილი) მისთვის განკუთვნილ და კომფორტულ გარემოში იფუნქციონირებს – აღსანიშნავია, რომ ორსართულიანი შენობა, რომელშიც დღეს საექიმო ამბულატორიაა განთავსებული, დიდი ხანია დემონტაჟს მოითხოვს.









## განათლება - ინფრასტრუქტურა

# მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის კიდევ 12 საჯარო სკოლა იქნება რეაბილ-იტირებული

**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო 2019 წელის დაგეგმილი საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამინისტრომ უკვე დააფინანსა და ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელმძღვანელობის მეშვეობით მოხდება მუნიციპალიტეტის 12 დასახლე-ბული პუნქტის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. კერძოდ :

**სოფელ გიორგიწმინდაში** - აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის საჯარო სკოლას( აქ 244 მოსწავლეა) ჩაუტარდება სველი წერტილების რეაბილიტაცია, რაზედაც 40 ათასი ლარია გამოყოფილი;

**ქალაქ საგარეჯოს 1 საჯარო სკოლის** (664 მოსწავლე) სველი წერტილების რე-აბილიტაციისათვის 50 ათასი ლარი გაიხარჯება;

**სოფელ გომბორის** საჯარო სკოლის (103 მოსწავლე) სველი წერტილების , იატაკის, კედლებისა და ჭერის რეაბილიტაციაზე 80 ათასი ლარი გაიხარჯება;

**თოხლიაურის** საჯარო სკოლაში (113 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები და



შემოიღობება სკოლის ეზო ( 50 ათასი ლარი);

**მანავის** საჯარო სკოლაში (379 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები (80 ათასი ლარი);

**ნინოწმინდის** საჯარო სკოლაში (210 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები და



ახალი ელექტროგაყვანილობა (55 ათასი ლარი);

**პატარა ჩაილურის** საჯარო სკოლაში (164 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება შენობის კედლებს, ჭერს, სახურავს (95 ათასი ლარი);

**უდაბნოს** საჯარო სკოლაში (113 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები (50 ათასი



ლარი);

**ყანდაურის** საჯარო სკოლაში (162 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები, მოხდება ავარიული ფლიგელის რეაბილიტაცია, ელგაყვანილობისა და გათბობის სისტემის მონ-ტაჟი (95 ათასი ლარი);

**წყაროსთავის** საჯარო სკოლაში (68 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები (45 ათასი ლარი);

**ხაშმის** საჯარო სკოლაში (153 მოსწავლე) მოეწყობა სველი წერტილები, ელგაყვანი-ლობა (45 ათასი ლარი);

**უჯარმის** საჯარო სკოლაში (52 მოსწავლე) - სველი წერტილები და გათბობის სისტე-მა (45 ათასი ლარი).

სულ აღნიშნული პროექტები ჩვენს მუნიციპალიტეტში დაფინანსდება 730 ათასი ლარ-ით.

*გ. დაბახიშვილი*

## რეპორტაჟი ახალმშენებლობებიდან

# მალე კოჭბანელ პატარებს საკუთარი საბავშვო ბაღი ექნებათ



**ჩვენი** გაზეთის მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, რომ კოჭბანის თემის მო-სახლეობა გასული საუკუნის 80 -იანი წლებიდან საბავშვო ბაღის შენობის მოლოდინშია. აქ საბავშვო ბაღის პროექტით აშენებულ შენობაში საჯარო სკოლა „შეასახლეს“- კონ-ტიგენტი არ არის საკმარისიო და გორანაში ასაშენებელი საჯარო სკოლის პროექტმაც დღის სინათლე ვეღარ იხილა. მას შემდეგ აქაური პატარები ზოგი გომბორის საბავშვო ბაღმა შეიკედლა, ზოგიც უჯარმის საბავშვო ბაღშია.

და აი, გასული წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ 2019 წლის დასაფინანსებელ პროექტთა ნუსხაში კოჭბანის საბავშვო ბაღის შენობის აშენებაც მოხვდა. ეს დიდი სიხარული იყო ამ თემის მოსახლეობისთვის - მათ მუნიცი-პალიტეტის ახლად არჩეულმა მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა პირველივე შეხვედრისას მათი პრობლემების მოსმენის დღეს პირობა მისცათ - უახლოეს ხანში მათ ექნებოდათ საბავშვო ბაღის შენობა.

და აი, ახალი წლის პირველივე დღიდანვე აქ მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ინდმეწარმე „დავით კავთუაშვილის“ მშენებლებმა დაიწყეს. სიმართლე ითქვას და შენობის მშენებლობა ორ თვეში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ პროექტი კოლხეთის დაბლობის რელიეფისთვის აღმოჩნდა მისადაგებული და გაჭირდა მისი მთიან რელიეფზე გადაყვანისათვის ჩასატარებელი ფიზიკური სამუშაოები, რაც დროში გაიწე-ლა. თუმცა მშენებლებმა რომ იტყვიან, იყოჩაღეს და ისეთ შენობას ჩააბარებენ პატარებს, როგორიც სწორედაც რომ მათ შეეფერებათ.

აქ დღეს (19 აპრილი) სახურავის დაფარების სამუშაოები მიმდინარეობს, ასევე, შიდა ამოტიხვრები (ოთახების გამყოფი კედლების აგება), დასასრულს უახლოვდება გარე ფასადის შელესვა, მთავრდება ეზოს შემოღობვა, მოტანილია და მალე ჩაისმება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა.

როგორც საუბარში მშენებლობის ხელმძღვანელმა დავით კავთუაშვილმა გვითხრა: - პროექტის ღირებულება 206 ათასი ლარია, აქედან 188 ლარი რეგიონული განვითარების ფონდის მიერაა გამოყოფილი, დანარჩენი კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსე-ბით შეივსო. შენობა ერთი სააღმზრდელო ჯგუფისთვისაა გათვალისწინებული და მისი ფართობი 187 მ 2 -ია.

მშენებლობაზე აქაური მოსახლეობაა დასაქმებული: ზაზა ჩორხაული, ბესო გიგაური, ზვიად წიკლაური, ვალერიან ბერიძიშვილი, როსტომ სიმონიშვილი, ლაშა მისრიაშვილი.

*თინა ილაური*





საქართველოს მთავრობის ბრძანებულებით

# ყორუღისა და იორის აღკვეთილებში თევზაობა ფასიანი გახდა



***ყორუღისა** და იორის სახელმწიფო აღკვეთილებში სამოყვარულო და სპორტული თევზაობა ფასიანი გახდა. ამასთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორს **ზვიად ტიბინაშვილს.** ვფიქრობთ, მასთან საუბარი სათანადო ინფორმაციას მიაწვდის და დააინტერესებს მუნიციპალიტეტის მოყვარულ მეთევზეებს.*



- მთავრობის 2018 წლის ნოემბრის ბრძანებულებით, - ***აღნიშნა მან,*** - დადგინდა ყორუღისა და იორის აღკვეთილებში სამოყვარულო და სპორტული თევზაობის საფასური და წესები, მაგრამ ეს წესები არ ვრცელდება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც გადაცემულია სამონადირეო მეურნეობებზე. ამიტომ, თევზაობის მსურველებისათვის ჩვენი რჩევა იქნება, რომ ერთმანეთში არ აერიოთ ისინი, რათა არ აღმოჩნდნენ რაიმე გაუგებრობისა და პრობლემების წინაშე.

***- ამ ბრძანებულების გამოცემამდეც დაცულ ტერიტორიებზე თევზჭერა დაშვებული იყო...***

- - ყორუღის აღკვეთილზე სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა დაშვებული იყო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის № 84 დადგენილებით, ამიერიდან კი, როგორც აღვნიშნეთ, ფასიანი ხდება.

***- როგორ უნდა შეიძინონ თევზჭერის მსურველებმა თევზაობის ნებართვა?***

- თევზჭერის მსურველებმა ამ ეტაპზე უნდა მიმართონ მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციას მისამართზე: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. 15 ( ყოფილი რაიკომის შენობა). შემდეგომში შეასაძლებელი იქნება ქვითრის გამოწერა რეინჯერთა სადგურიდან, რომელიც შენდება ყორუღის აღკვეთილის ტერიტორიაზე, იორმუღანლოს ბაზრის მიმდებარედ, სადაც იწარმოებს რეინჯერთა 24 საათიანი მორიგეობა, მაგრამ თევზაობა დადგენილი წესის მიხედვით დაიშვება მხოლოდ დღის საათებში - დილიდან დაღამებამდე.

***- ვინ გააკონტროლებს ამ საქმეს, ვინ გამოავლენს ბრაკონიერებს?***

-აღკვეთილების ტერიტორიაზე მუდმივად მიმდინარეობს კონტროლი რეინჯერებისა და ვიდეო (ფოტო) ხაფანგების მიერ, რა დროსაც ხდება ბრაკონიერების გამოვლენა.

***- რა სანქციებია უკანონო თევზჭერაზე ?***

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის №86 მუხლის თანახმად, სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის წესების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა მერყეობს 120 ლარიდან 300 ლარამდე, ხოლო ელექტროშოკის აპარატით, ფეთქებადი და მომწამვლელი ნივთიერებით თევზის მოპოვება არის სისხლის სამართლის დანაშაული. ამ ჯარიმებს ემატება მოპოვებული თევზით გარემოზე მიყენებული ზიანი.

რაც შეეხება ყორუღისა და იორის აღკვეთილებში თევზაობის წესების დარღვევას, მოქმედი რეგულაციების მიხედვით, თევზაობის წესების დარღვევის ჯარიმასთან ერთად, ფორმდება რეჟიმის წესების დარღვევის ჯარიმა (№89 მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ მეთევზეს არ აქვს ნებართვა, ანუ არ აქვს დადგენილი მოსაკრებელი გადახდილი, მაგრამ თევზაობს წესების დაცვით, მაშინ გაუფორმდება მხოლოდ რეჟიმის დარღვევის ჯარიმა 60 ლარის ოდენობით.

***- რა ტერიტორიაზე, საიდან სადამდე ვრცელდება (ნაკრძალის ტერიტორიაზე) აღნიშნული ბრძანება?***

- ყორუღისა და იორის აღკვეთილებში, გარდა სამონადირეო მეურნეობებისათვის გადაცემული ტერიტორიებისა, სამონადირეო მეურნეობებში მოქმედებს შიდა რეგულაციები.

***- რა თანხაა საჭირო ნებართვის ასაღებად?***

- თევზაობის საფასური 1 კაცისათვის



1 დღის განმავლობაში განისაზღვრება 5 ლარის ოდენობით.

***- თევზაობის ვადები და თევზის მოპოვების რაოდენობა თუ არის განსაზღვრული?***

- როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თევზაობა დაშვებულია დღის საათებში ( დილიდან საღამომდე) და შესაძლებელია 5 კგ თევზის მოპოვება.

***- როდიდან შეუძლიათ თევზაობის მსურველებს ნებართვის აღება და თევზაობა? თევზის ტოფობის, ანუ ქვირითობის დროსაც შეიძლება თევზაობა?***

- თევზაობის მსურველებს ნებართვის აღება შეუძლიათ ნებისმიერ დროს ზემოთ მითითებულ მისამართზე. რაც შეეხება ქვირითობის პერიოდს, სამოყვარულო და სპორტული თევზაობა არც ამ დროსაა აკრძალული.

***- როგორ უნდა გაარკვიონ მეთევზეებმა სად არის თევზჭერა დაშვებული, ან სად იქნება აკრძალული?***

- ამისათვის თევზაობისათვის განკუთვნილ ტერიტორიებზე დაიდგმება სათანადო ბანერებისა და ეტაპობრივად განთავსდება გამაფრთხილებელი ნიშნები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს შესაძლო ექსცესების რისკებს და მოყვარულ მეთევზეებს შეეძლებათ მშვიდ და მყუდრო გარემოში ითევზაონ. დამატებითი ინფორმაციისათვის მათ შეუძლიათ მოგვმართონ ***ტელეფონზე 577 10 18 27.***

*ესაუბრა*

*გივი დაბახიშვილი*

---

**<u>ჩვენი ინფრასტრუქტურა</u>**

# ის, რაც შეიძლება საკუთარი ძალებით მოგვარდეს





***ლამაზდება,** მშვენდება ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლები. ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც გასულ წელს და მიმდინარე წელს ხორცს ისხამს, ალბათ წინა ხუთ-ექვს წელიწადში ერთად არ განხორციელებულა. მაგრამ არის ისეთი საქმეებიც, რომლებიც გაუთვალისწინებელი მდგომარეობის გამო მოსაწესრიგებელი ხდება. მათი მოწესრიგება კი პირდაპირ პროპორციულად მოქმედებს მოსახლეობის ყოფითი, ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებაზე. საუბარია სასმელი წყლების მაგისტრალების სხვადასხვა მიზეზებით დაზიანების აღდგენაზე, სანიაღვრე არხების გასუფთავებასა და მოსახლეობის კუთვნილებაში არსებული სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგებაზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაზიდვასა და ბალასტის ამოღებაზე. სწორედ ამ საქმეებს ასრულებენ შპს „საგარეჯოს" თანამშრომლები.*

*მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შპს-ის მიერ გაწეულ მუშაობაზე გვესაუბრება შპს „საგარეჯოს" დირექტორი* **თამაზ კუჭუაშვილი:**

- მიმდინარე წლის მშრალმა კლიმატურმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი ჩაგვეტარებინა ის სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა სასმელი წყლის მილების ამოცვლას, გზების მოშანდაგებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, მაგრამ ჩვენ ჩვენი ძალებით უფრო მეტ საქმეებს გავაკეთებდით, ხელი რომ არ შეეშალა ჩვენს ბალანსზე არსებული ტექნიკის გაუმართაობას - მძიმე ტექნიკის ძნელად საშოვნელ და 90-იან წლებში შესყიდული, უკვე მოძველებული ტექნიკის ნაწილებს რომ არ შეექმნა პრობლემები, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით ჩვენს წინაშე არსებული გეგმებისა და დავალებების შესრულება და კვლავაც შემართებით ვაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას. მაშ, ასე:

– **სასმელი წყლის** პრობლემები მოვაგვარეთ სოფლებში : **ვერხვიანში**, სადაც სასმელი წყლის მილის გაყვანა შევძელით 1, 5 კმ მანძილზე, სოფელ **გომბორში**, სოფელ **მანავში**, სადაც 1 კმ მანძილზე მოვახდინეთ სასმელი წყლის გაყვანა, **მანავში** ე. წ. „თარაქის" დასახლებაში მოვახდინეთ წყლის მილების ამოცვლა, სოფელ **მარიამჯვარსა** და **გიორგიწმინდაში** გავიყვანეთ სასმელი წყლის მილი.

მოვახდინეთ **სანიაღვრე არხის** გაჭრა სოფელ **ნინოწმინდაში**, სანიაღვრე არხები გაიწმინდა **საგარეჯოში**.

**მოშანდაგდა** მოსახლეობის კუთვნილ სავარგულებამდე მისასვლელი გზები სოფლებში: ***გიორგიწმინდაში, მანავში, ხაშმში, პატარა ჩაილურში, კაკაბეთში, დიდ ჩაილურში, ვერხვიანში, თოხლიაურში და საგარეჯოში.***

ხევის **ჯებირი** გამაგრდა სოფელ ***თოხლიაურში***.

ხევებიდან იქნა ამოღებული **ბალასტი** სოფლებში: ***მანავში, დიდ ჩაილურში, კაკაბეთში, თოხლიაურში, ვერხვიანში.***

დღეს კი მოგეხსენებათ, აპრილის ბოლო დეკადის უხვნალექიანობამ მნიშვნელოვანი გამოწვევები დააყენა ჩვენს წინაშე.

*თინა ილაური*



# საგარეჯოს სახელოვნებო სკოლაში „როცა შექმნილი ატმოსფერო გიზიდავს“

**საგარეჯოს** სახელოვნებო სკოლა (***მენეჯერი ალი ასლანიშვილი)*** 2013 წელს გაიხსნა. სკოლა თითქოსდა კომფორტაბელურ, ორსართულიან, მინებით დაფარულ შენობაშია მოთავსებული. აქ მენეჯერთან ერთად გაკვეთილებს მასწავლებელი თეა ბუ-



ზარიაშვილიც ატარებს.

**ცნობისთვის**: ალი (ალექსანდრე) ასლანიშვილი 1958 წელს დაიბადა ირანში, ისპაჰანის ოლქის სოფელ ჩუღურეთში. 1973 წლის ბოლოს ოჯახი და მისი ახლობლები საგარეჯოს რაიონში ჩამოსახლდნენ და ალიმ საგარეჯოს IV საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა. სკოლაში ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და 1980 წელს უკვე საქართველოს სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დაზგური ფერწერის განყოფილების სტუდენტიც გახდა. ფერეიდნიდან თავის ფუძეს დაბრუნებულ ქართველებს ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა და ალიმ სტუდენტობის დროს არაერთი გამოფენა მოაწყო – დამთვალიერებლებს სიამაყით და ინტერესით სთავაზობდა ფერწერული ნამუშევრების შეფასებას... 1986 წელს სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ საგარეჯოს სამხატვრო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დირეტორად დაიწყო მუშაობა. შემდეგ კი 90-იანი წლების დასაწყისში სკოლას დაფინანსება შეუწყდა და ალიც იძულებული გახდა თბილისს დაბრუნებოდა – ჰქონდა სამხატვრო სახელოსნო და საკუთარი ბიზნესი. მალე დაქორწინდა კიდეც და სამი შვილი შეეძინა – ორი გოგო და ერთი ბიჭი... სულ ახლახანს კი ალის და თავის მეორე მეუღლეს ირანელ ქართველს როჟინას ბიჭი შეეძინათ...

ალის უყვარს მოგზაურობა ველოსიპედით. წლების წინ მთელი საქართველო – მთა და ბარი შემოიარა ველოსიპედით. სიამოვნებს საქართველოს ბუნების და მისი კუთხეების მოსახლეობის გაცნობა.

ოთხი წლის განმავლობაში სკოლაში ალის ქალიშვილი – მარიამიც მასწავლებლად მუშაობდა. გულისხმიერი, მშრომელი, მოსწავლეების ნამდვილი მეგობარი, ჩუმი და უპრეტენზიო მასწავლებელი ძალიან უყვართ მოსწავლეებს, მაგრამ 2 წლის წინ მარიამი გერმანიაში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. იგი ახლა თეა ბუზარიაშვილმა შეცვალა – საოცარი შემოქმედებითი სამყაროს, უნიჭიერესმა შემოქმედმა და მუდამ ინოვაციების მოყვარულმა თეა მასწავლებელმა მალე შეაყვარა ბავშვებს თავი.

სახელოვნებო სკოლის ***მასწავლებელი*** **თეა ბუზარიაშვილი** საგარეჯოელია. სულ ორი წელია, რაც აქ მუშაობს. ასევე, აქვს ხელოვნების საათები საგარეჯოს მესამე და გიორგიწმინდის საჯარო სკოლებში, სადაც სისტემატურად ტარდება გამოფენები, საინტერესო ღონისძიებები. თეას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მხატვრული ქსოვის განყოფილების გობელენის სპეციალობა. დღეს თეა ამაყობს იმით, რომ მისი კათედრის ხელმძღვანელი ყველასათვის საამაყო ხელოვანი, საგარეჯოელი გივი ყანდარელი იყო. თეა მადლიერია მისი: – რადგან მან შემაყვარა მხატვრობა, ქართული ხელოვნება, ფარდაგი, ხალიჩა და გობელენის ტექნოლოგიები, ფერწერა, რომელიც ბატონ გივის სხვა ხელოვანებისგან აგრე რიგად გამოარჩევს-ო, - მითხრა თეამ საუბარში.



თეას ბავშვობიდანვე უყვარდა ხატვა. დედა- ნელი პაპუნაშვილი ყოველთვის ხელს უწყობდა, ამარაგებდა საჭირო მასალებით და თეაც მთელი სულით და გულით ჩაერთო თავის საყვარელ საქმიანობაში. ისიც იგრძნო, რომ ეს მისთვის ყველაზე საინტერესო საქმე იყო, რომელიც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და ბავშვობიდანვე გადაწყვიტა ხელოვნებას გაჰყოლოდა...

მაგრამ, მხოლოდ ხატვის ნიჭი როდი აქვს თეას, მან სკოლაში შექმნა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი, რომელიც სკოლის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებას ალამაზებს...

თეა ხატწერასაც მისდევს, საგარეჯონინოწმინდის მთავარეპისკოპოსის მეუფე ლუკას კურთხევით მან არაერთი ხატი დაწერა და ეპარქიის ტაძრებშია დაბრძანებული, ერთ - ერთ ხატს მირონი დაედინა. თეა საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მგალობელი და რეგენტია. მისთვის მხატვრობა, ხელოვნება შინაგანი ხასიათიდან მომდინარეობს - ბავშვობის ასაკიდან წერს ლექსებს, ჩანახატებს, დაწერილი აქვს სცენარი, რომელიც ქალაქ ათენში, ქართულ საბავშვო თეატრში სპექტაკლის სახით დაიდგა და დიდი წარმატება ხვდა წილად.

აი, გობელენების საკეთებლად კი არც დრო ჰყოფნის და არც ხელისშეწყობაა სახელოვნებო სკოლაში, რომ მოსწავლეებს შეასწავლოს თექაზე, ფარდაგსა და გობელენზე მუშაობა. თუმცა აქ მოაწყვეს ექსპოზიციები, მონაწილეობა მიიღეს და ითანამშრომლეს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ გამოფენებში, გაიმარჯვეს კონკურსებში, მოაწყეს საინტერესო საქველმოქმედო გამოფენა - გაყიდვა საგარეჯოს ინვალიდთა თავშესაფარში მყოფი ორი ნიჭიერი ბენეფიციარისათვის, რომელთა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვას თეამ და მისმა მოსწავლეებმა უმასპინძლეს.



სახელოვნებო სკოლიდან თეას თავისი მოსწავლეები ლაშქრობებსა და ექსკურსიებზე მიჰყავს, სადაც ხატავენ ღია ცისქვეშ „პლენერზე“. ამასთან, ერთად ასუფთავებენ დაბინძურებულ გარემოს, ტაძრებისა და სალოცავების მიმდებარე ტერიტორიებს, რაც მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებთ.

როგორც ვთქვით, თეა ორი წელია სახელოვნებო სკოლაშია. უხარია - სკოლა თანდათან მრავალრიცხოვანი ხდება, მაგრამ აქ სივიწროვეა, არაა სათანადო პირობები, ნორმალური მუშაობის. თეას გული სწყდება, რომ არ აქვს საშუალება მოსწავლეებს შეასწავლოს ის საქმიანობა, რასაც ჩვენი წინა თაობები მისდევდნენ და რაც შეიძლება ხვალ მათი შემოსავლის წყაროდაც იქცეს - გობელენზე, თექაზე, ხალიჩაზე მუშაობა. საამისოდ არც წყალია, არც სველი წერტილები, აკლიათ ინვენტარი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს თავად თეა ალაგებს, აწესრიგებს დარბაზს - მოუწესრიგებელს ვერ დატოვებს და ვერც მოსწავლეებს დაალაგებინებს. და ხელფასს არ იკითხავთ?! – 130 ლარი.

ალბათ, სწორედ ესაა ხელოვნების სიყვარული - ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე აკეთო შენი საყვარელი საქმე, აკეთო რუდუნებით და დაუღლელად... ხელოვნების სიყვარულით ცხოვრობს თეას ლამაზი ოჯახიც. მეუღლე - ირაკლი კოხტაშვილი ანსამბლ „გარეჯის“ სოლისტია, მათი შვილები- ოთო და ნანიკოც მღერიან. ნანიკო თეა ხატიაშვილის სტუდიაში მღერის და როგორც ქართული სიმღერების საოცარი შემსრულებელი საგარეჯომ, თბილისმა და თელავმაც გაიცნო, ეს ერთი ციდა გოგონა თავისი ნიჭიერებით აოცებს მსმენელს. ოთო და ნანიკო შესანიშნავად ხატავენ, ერთი სიტყვით არ ჩამორჩებიან მშობლებს ნიჭიერებაში...



და სწორედ ასეთი მასწავლების უნარსა და შესაძლებლობებს ანდობენ თავიანთი შვილებისთვის ხელოვნების სამყაროს გასაცნობად სკოლის მოსწავლეთა მშობლები. მათ კარგად იციან, რომ მათი შვილები შეუმცდარ გზას მიჰყვებიან , იმ გზას, რომელიც თავად თეამ იმ დროს გაიარა, როცა საგარეჯოში სამხატვრო სკოლა აღარ არსებობდა, გაიარა დამოუკიდებლად, საოცარი სიყვარულით და შრომით.

სახელოვნებო სკოლა კვირის ოთხ დღეს იღებს ხატვის მოყვარულ მოსწავლეებს – გარდა პარასკევისა და დასვენების დღეებისა. იმ დღესაც ჩემი სტუმრობის დროს, სკოლაში ალი მასწავლებელთან ერთად კარი ნიკა და ნინო ნანუაშვილებმა, შორენა და ნიკა თავშავაძეებმა, სალომე მაზანაშვილმა დათქმულ დროს – 3 საათზე ერთად შეაღეს, მოწესრიგდნენ და ხატვას შეუდგნენ. შემდეგ მათ თათია კოჭლამაზაშვილი და ხუთი წლის სოფო კოჭლამაზაშვილიც შემოუერთდნენ... მასწავლებელი ხან ერთთან მიდის, ხან მეორესთან... აკვირდება მათ მუშაობას, აძლევს მითითებას, უწონებს ან უწუნებს ბავშვური ხელით, ჯერაც გაუბედავად გავლებულ ხაზებს, შერჩეულ ჩრდილებს.

დროს ვნახულობ და ნიკას და ნინოს დედას ლელა დავითაძეს გავესაუბრე. აი, რა მითხრა ლელამ: – მოგეხსენებათ, თუ ხატვას პროფესიონალი ასწავლის (და დამეთანხმებით, რომ ამ სკოლის ორივე მასწავლებელი ალი ასლანიშვილი და თეა ბუზარიაშვილი ორივე პროფესიონალები არიან), გაკვეთილები საკმაოდ ძვირად ფასობს, მაგრამ აქ სწავლა უფასოა. ბევრი ბავშვი დღეს ინტერნეტსაა მიჯაჭვული, ზოგი ქუჩაში უსაქმოდაა, არადა, ვინ იცის ასეთ ბავშვებში რა ნიჭი დევს, რა შესა-



ძლებლობები არსებობს, მაგრამ... ჩვენ ალი მასწავლებელი გავიცანით ჩვენი მეზობლებიდან – ისინი ალი მასწავლებლის მოსწავლეები იყვნენ. აქ არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი. ჩემი შვილი ნიკოლოზი უკვე მესამე წელია ამ სკოლაში სწავლობს (ნიკოლოზი I საჯარო სკოლის მერვეკლასელია), ნინო IV კლასშია და გრაფიკულ ნახატებს ქმნის. ნიკოლოზს კი უფრო ნატურმორტების ხატვა უყვარს, ახლაც ძველი თბილისის დახატვას ცდილობს...

გაკვეთილზე მარიამ ქარსაულიძე შემოდის – საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი: – ორი წელი ვიარე ამ სკოლაში, – მეუბნება მარიამი, – აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ დაინტერესებულმა ბავშვმა ისწავლოს ხატვა, ჩასწვდეს მის სილამაზეს. ახლა იშვიათად ვხატავ, მაგრამ ხშირად შემოვდივარ. აქ ისეთი ატმოსფეროა შექმნილი, ხშირად მენატრება აქაურობა, მაგრამ სკოლა ამის თავისუფალ დროს აღარ მაძლევს. ასე, შემოვირბენ, ვნახავ ალი მასწავლებელს, ჩამოვუვლი ბავშვებს და ვაკვირდები მათ მუშაობას, ვივსები დადებითი მუხტით და ეს მუხტი დიდხანს მიმყვება...

მარიამი მალე უბრუნდება ბავშვებს და სალომესთან ერთად არჩევს სალომეს იმდღევანდელ ნამუშევარს...

შორენა და ნიკა თავშავაძეები თებერვლიდან მოვიდნენ სკოლაში, ჩუმად, ინტერესით დაჰყურებენ თავიანთ ნამუშევარს, ზოგჯერ შენიშვნას აძლევენ ერთმანეთს, რაღაცას ასწორებენ, ფიქრობენ... შორენა მეშვიდეკლასელია, ნიკა V კლასშია. მოსწონთ სკოლაში შექმნილი გარემო, მასწავლებლები, თავიანთ გვერდით მყოფი ბავშვები, ის ნახატები, რომლებიც ამ 6 წლის მანძილზე ამ სკოლის მოსწავლეებმა აქ სწავლის პროცესში დახატეს, შექმნეს პატარა გამოსახულებები.

დათვალიერებისას ალი მასწავლებელი გულისტკივილით მეუბნება: – სკოლის ხელმძღვანელობას შეუძლია გასცეს სახელოვნებო სკოლის დამთავრების ცნობა – ოთხწლედის, ექვსწლედის, მაგრამ ჩვენს მოსწავლეებს არ ჰყოფნით ნებისყოფა – ისინი ერთი, ორი, სამი წლით ირიცხებიან ჩვენს სკოლაში მოსწავლეებად, შემდეგ კი ისევ კომპიუტერთან ყოფნას არჩევენ, ან სხვა აქტივობებით ინტერესდებიან...

*თინა ოლაური*

# მართლმადიდებლობა

## აღდგომა და სააღდგომო ტრადიციები საქართველოში



**ქრისტიანთა** უმთავრესი რელიგიური დღესასწაული — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრავია, ყოველთვის გაზაფხულს ემთხვევა. საქართველოში აღდგომა განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება.

აღდგომა — უმთავრესი დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა–ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად აღდგა!“

ამ დღეს ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას.

მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული.

აღდგომის კვირისთავი, ანუ მომდევნო კვირა დღე, ხალხური რწმენით, ყველაზე ბედნიერად მიიჩნევა ჯვრისწერისთვის.

**სააღდგომო სუფრა**

როგორც ვთქვით, ამ დღეს ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა, მაგიდას ხორცისა და თევზისგან დამზადებული, სანელებლებით შეკმაზული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი ამშვენებს. სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება — ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

**სააღდგომო ტრადიციები**

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი.

მაგალითად, **ქაზბეგში**, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!“ რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული წესით ერთდროულად პასუხობდნენ — „ჭეშმარიტად!“ მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებებოდნენ პასუხით „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგეწიასთ იმისი მადლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!“ ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს შესაწირი გამოჰქონდა — წინასწარ შეღებილი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ და ხმამაღლა იძახდნენ, ვის სახელზეც იდებოდა კვერცხი. პირველ შესაწირს მოხევეები ოჯახიდან შორს მყოფთათვის და მოგზაურთა სადღეგრძელოდ დებდნენ. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები, უფროსის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, მონაცვლეობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველად გატყდებოდა. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხევეები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილით საერთო საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა, ფული კი აუცილებლად სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს **სამეგრელოში**. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ და ყველისა და კვერცხის პურის კვერებს აცხობდნენ. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელ სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

**რაჭაში** აღდგომა დილით, წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

**გურიაში** აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

**კახეთში** სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ.

# სპორტი

## კლასიკური ჭიდაობა

### ლუკა მარტიაშვილის მორიგი წარმატება



**აიპ** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელების თამაზ ყიფიანისა და ვასილ მარტიაშვილის მცდელობითა და ორგანიზებით საგარეჯოში მოზარდების მნიშვნელოვან დაინტერესებას იწვევს ჭიდაობის ეს სახეობა. საინტერესოა აღსაზრდელთა მიერ მოპოვებული შედეგებიც. თავისი მორიგი წარმატებით ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაახარა გულშემატკივარი ამ წრის პერსპექტიულმა მოჭიდავემ ლუკა მარტიაშვილმა.

12-14 აპრილს ქ. ბაღდადში ჩატარებულ თემურ ვაშაყმაძის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში , რომელშიც საქართველოს რეგიონების 270-მდე მონაწილე ასპარეზობდა, ლუკამ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 44 კგ წონით კატეგორიაში. ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ლუკამ პირველ შეხვედრაში დაამარცხა გურიის, მეორეში-ბათუმის, მესამეში - სამეგრელოს, მეოთხეში - სამტრედიის წარმომადგენლები, ფინალში კი შეხვდა ბორჯომელ მეტოქეს, რომელიც კლასიკური სუფლექსით (გდებით) წმინდად დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ლუკა მარტიაშვილი საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეა და მწვრთნელებს მისი დიდი იმედი აქვთ.

საამაყოა, რომ იმედისმომცემი მოჭიდავეები ფრთიანდებიან მანავის ბერძნულ- რომაული ჭიდაობის წრეშიც. სულ ახლახანს ამ წრეში სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც დაიწყეს ვარჯიში. ისინი მწვრთნელ თამაზ ყიფიანს დაჰყავს საკუთარი ტრანსპორტით სავარჯიშოდ. როგორც მან საუბარში აღნიშნა, მანავის ბერძნულ - რომაული ჭიდაობის წრეში ვარჯიშის სურვილი მეზობელი ჩაილურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც გამოთქვეს. დღეისათვის კი საგარეჯოსა და მანავის წრეებში 50 ბავშვი ვარჯიშობს. თამაზ ყიფიანმა ასევე თქვა, რომ 20 ივლისს საგარეჯოს საჭიდაო არენაზე ჩატარდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თასის გათამაშება , რომელშიც საქართველოს გარდა იასპარეზებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, ისრაელის ამ სტილით მოჭიდავეები.

*გივი დაბახიშვილი*

---

## თავისუფალი ჭიდაობა

### დიდი ფალავნის ხსოვნის უკვდავსაყოფად





**12 აპრილი** ქართული და მსოფლიო ჭიდაობის ლეგენდის - მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ყოფილი სსრკ-ს 17 გზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის არსენ მეკოკიშვილის დაბადების დღეა. წელს მას დაბადებიდან 107-ე წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით მისივე სახელობის საჭიდაო არენაზე 13 – 14 აპრილს ჩატარდა ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც მთავარი მსაჯის რანგში სჯიდა მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან თედიაშვილი.

ასპარეზობაში მონაწილე აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეებმა ამ ტურნირზე ორი პირველი, ექვსი - მეორე და ოთხი - მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

**ტურნირის ჩემპიონები გახდნენ:**

ლუკა თედიაშვილი (23კგ წონითი კატეგორია) და ნიკა საგინაშვილი (32 კგ).

**მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:** ლუკა დიღმელაშვილი (23კგ), დავით გილაშვილი (29 კგ),დავით ქურხული (32კგ), შალვა გულისაშვილი (41 კგ), ვალერი მამულაშვილი (52 კგ), ვანო ნარიმანიძე (62 კგ).

**ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ:** გიორგი როსტომაშვილი (26 კგ), გიორგი ქვლივიძე (26 კგ), გიორგი ერბოწონაშვილი (35 კგ), ირაკლი ნიკოლაშვილი (52 კგ).

ტურნირზე დაწესებული იყო არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი, რომელიც მისმა შვილმა ბიზნესმენმა გოგი მეკოკიშვილმა გადასცა მძიმე წონაში გამარჯვებულ შალვა მინდორაშვილს (ოლიმპიური ჩემპიონის რეზო მინდორაშვილის ვაჟს).

---

## ევროპისა და მსოფლიო პირველობების უფლება „გაინაღდა“

**7 და 9აპრილს** რუსთავში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების რამაზ ასაბაშვილისა და დავით ბაბუნიძის აღსაზრდელებიც ასპარეზობდნენ. მათგან საუკეთესოდ იასპარეზა და 38 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა თორნიკე ასაბაშვილი. ამ წარმატებით მან უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს წლევანდელი წლის ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე, რომლებიც ამ ახლო მომავალში გაიმართება.

*გივი დაბახიშვილი*

## ეს ჩვენი ისტორიაა
# ჩაილურის ციხე
## (ნიახურას ციხე)



*"აქ ერთხელ მეფე-ქალს ქოში დარჩენია,*
*ღამე უთევიათ მარაბდელ ყაჩაღებს. "*

**ჩაილურის** ციხე მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარა ჩაილურის სამხრეთით, კახეთის საავტომობილო მაგისტრალის გადაკვეთაზე, მდინარე ჩაილურის ხევის მარცხენა სანაპიროზე აღმართულა მოზრდილი ციხე-სიმაგრე, რომელსაც ხალხი ნიახურას ციხეს უწოდებს. ეს ციხე იყო ერთ-ერთი სამხედრო თავდაცვითი ციხე-სიმაგრე, რომელიც აშენებულია შუა საუკუნეებში, სავარაუდოდ XVI საუკუნეში. იგი კეტავდა სტრატეგიულ შემოსასვლელს მთელი ივრის ხეობაში და მანავის ციხესთან ერთად წარმოადგენდა თბილისისაკენ მიმავალი მტრისთვის გზის ჩამკეტ თავდაცვით ნაგებობას.

ძეგლი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ციხის მიდამოებში 1801 წელს გაიმართა დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ომის სახელით ისტორიაში შესული ბრძოლა.

პარმენ ზაქარაია, ციხის რესტავრაციის შესახებ, საკმაოდ უცნაურ მოვლენას იხსენებს. მე-20 საუკუნისათვის ციხე საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. 80-იან წლებში, კულტურის სამინისტროს შესაბამისი სტანდარტების დაცვით, გადაწყვეტილი ჰქონდა ციხის გარკვეული ნაწილის რესტავრაცია, ხოლო ნაწილის კონსერვაცია. აღნიშნულ პროცესში აქტიურად იყო ჩართული პარმენ ზაქარაიაც, რაიკომის მდივანს მისთვის უთხოვია, ციხის სავარაუდო პირვანდელი მაკეტის შედგენა, რომელსაც მხოლოდ საექსპოზიციო სახე ექნებოდა. მომზადდა ციხის სავარაუდო პირვანდელი სახის მაკეტი. ხოლო რაიკომის მდივანმა, რომლის გვარსაც შეგნებულად არ ასახელებს პარმენ ზაქარაია, ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება, ციხე აღედგინა ამ მაკეტის მიხედვით და ასეც მოხდა, ციხე აშენდა თავიდან, ყოველგვარი სტანდარტების დაცვის გარეშე. (1801 წელს იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების მეთაურობით ნიახურას ციხესთან დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ბრძოლა გაიმართა. იგი ისტორიაში შესულია მჭადიჯვარის(ნიახურას) ომის სახელით. ბატონიშვილებმა რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს შეაჯახეს. ნიახურას ციხის აღდგენა 80-იან წლებში საგარეჯოს რაიკომის მდივნის მედეა მეზვრიშვილის ინიციატივით მოხდა.

### პატარა ჩაილურის ციხეს

გტორავდნენ ტკივილით წლები მოჭიხვინე,
ჟამმა უცვეთელი ბრჭყალები გაჩვენა...
კვდებოდა ციხე და ღმერთო, რა ვიხილე;
ქონგურებს ცრემლივით წასკდათ ქვათაცვენა.
დღეს შენი პატრონი ცა და გამჩენია,
ლეგენდა ხსოვნაში სიყვარულს აჩაღებს,
აქ თურმე მეფე-ქალს ქოში დარჩენია,
ღამე უთევიათ მარაბდელ ყაჩაღებს.
და მერე მოსულან შორეულ მითებად;
ცარიზმი, მებრძოლი ბატონიშვილები...
იდგნენ და ელოდნენ უსისხლო დიდებას
კოშკები, ფიქრივით ღრუბელაშლილები.
გწყდებოდა ნაომარ ბერიკაცს გული და
ხავსებდასეული თუ ბერწი ლოდები,
გასმევდა სინათლეს ცა მთვარის სურიდან,
ძვლებში იშლებოდი, მამულზე მგოდები.
მტერი მტერს აჯახეს ბაგრატიონებმა,
შენი საძირკველი რომ სისხლით ეკვებათ,
მანავში გაპარულ გვირაბს, გეგონება,
ღამე შემოაცვეს ალგეთის ლეკვებმა.
დღეს შენი პატრონი ცა და გამჩენია,
ლეგენდა ხსოვნაში სიყვარულს აჩაღებს,
აქ ერთხელ მეფე-ქალს ქოში დარჩენია,
ღამე უთევიათ მარაბდელ ყაჩაღებს.

## კულტურა
# „სიყვარულის დღე“ საგარეჯოში
### საგარეჯოს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ კულტურის სახლში სიყვარულის დღეს ლამაზი ღონისძიება მიუძღვნა



**მასში** მონაწილეობას იღებდნენ ქ. საგარეჯოს ოთხივე საჯარო სკოლის მოსწავლეები. წარჩინებულმა მოსწავლეებმა თემატური ხასიათის საკუთარი და ცნობილი პოეტების ლექსები წაიკითხეს.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა კულტურის სახლთან არსებული ხელოვნების სკოლა „მი რე ლა“, (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი).

ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებული იყო სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი სახელწოდებით: „შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი“. შინაარსით – წერილი ჩემს ერთადერთს.

კონკურსი ვრცელდებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეებზე მე-7 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით.

კონკურსის საშუალებით მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ წერილის საშუალებით გამოეხატათ თავიანთი გრძნობები.

ამ ღონისძიებაზე გამოვლინდა სამი გამარჯვებული მოსწავლე: ქრისტინე მენოგნიშვილი, მარი ილაური და ნინი ბუზარიაშვილი, რომლებსაც საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერმა **ლია გოდერძიშვილმა** წიგნები გადასცა საჩუქრად.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ვერიკო კერატიშვილი.

# „პოეზია და მხატვრობა“
## ლექსის ილუსტრაცია

**კულტურის** სახლში საინტერესო ღონისძიებათა სერია მართლაც საინტერესოდ გაგრძელდა.

მორიგი ღონისძიება „პოეზია და მხატვრობა“ კულტურის სახლის სახელოვნებო სკოლაში 19 აპრილს საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

მოეწყო ადგილობრივი მხატვრების **თამარ იორამაშვილის, ნინო ჯანგულაშვილის, თეა ბუზარიაშვილისა** და სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა.

მოწვეულები იყვნენ პოეტები და პოეზიის მოყვარული ქალბატონები, რომლებმაც თავიანთი ლექსის შინაარსი ქაღალდზე გადაიტანეს – შემოქმედმა ქალბატონებმა თავიანთი ლექსები და პროზაული ნაწარმოებები კლასიკური მუსიკის ფონზე დახატეს.

ღონისძიების მიზანი იყო ლექსის ილუსტრაცია, რომლის იდეის ავტორი ბავშვთა და მოზარდთა თეატრის ხელმძღვანელი, თეატრის მსახიობი **ნათელა დიღმელაშვილი** იყო.

ღონისძიების დასასრულს, ქალბატონებმა თავიანთი შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს და საკუთარი ლექსები წაიკითხეს.





*ნინო გვაგვალია*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო და საქართველოს პარლამენტის საგარეჯოს დეპუტატის ბიურო მწუხარებით იუწყება საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლი ომის ვეტერანების

**ზაურ მამარდაშვილის**

*და*

**ნოდარ ძაბილაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს.